

საქართველო - ყწირველეს ყოვლისა!
გელაგეტონი

ახალგორი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5(109)

მაისი

2023 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

ბილოსავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს!



ჩვენებურები - ნიჟო ხერკეაძე

დიდი ხელოვანის გზა უკვდავებისაკენ

4



ვიტალი ქენძაძე:
„ქნის ხეობაებს ბევრი გვაქვს საბაჟო...“

სამოყვარულ საფეხურთო გუნდი „ახალგორის ჯვაროსნები“ 10

ბაბა-ბალებს გამოსაშვები ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარი გადაეცა



ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლად სარკაბულომ გელა შერმადინი აირჩია

მიმდინარე წლის პირველ მაისს ახალგორის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში გამგებლის ასარჩევად საკრებულოს სხდომა გაიმართა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევის შესახებ“ № 1/2 დადგენილების საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლად გელა შერმადინი აირჩიეს.

გელა შერმადინი 2016 წლის ნოემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე გამგებლის მოადგილის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2023 წლის თებერვლიდან 1-ელ მაისამდე გამგებლის მოვალეობას ასრულებდა.



გელა გივის ძე შერმადინი დაიბადა 1972 წლის 15 მაისს ახალგორის რაიონის სოფელ ლარგვისში. 1978 წელს სწავლა დაიწყო ახალგორის რაიონის ლარგვისის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1989 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ლარგვისის კოლმეურნეობაში რიგით კოლნევრად. 1990 წელს ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1995 წელს დაამთავრა დასრულებული სწავლების სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის ინჟინერ-მინათმონწყობის სპეციალობით. 1995 წლის 5 დეკემბერს დაინიშნა ახალგორის რაიონის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის განყოფილების უფროსად. 1997 წლის 1 მარტიდან გადაყვანის წესით დაინიშნა ახალგორის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსად. 2004 წლის 1 სექტემბრიდან გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

2004 წლის 2 სექტემბრიდან დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალგორის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსად. 2016 წლის 10 ნოემბრიდან დაინიშნა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, ხოლო 2023 წლის 1 მაისიდან ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გილოცავთ საქართველოს დაპოუქიდებლობის დღესასწაულს!

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერების ანსამბლების მონაწილეობით, ახალგორის მუნიციპალიტეტშიც გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლების წარმომადგენლები.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს.



ბაპროს წარმომადგენლები წეროვანში



მაისის დასაწყისში წეროვანის დასახლებას გაეროსთან აკრედიტებული მუდმივი წარმომადგენლები, საქართველოს წარმომადგენელი გაეროში დავით ბაქრაძე და დევილთა, ეკონომიგრანტთა და სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან დოლიძე სტუმრობდნენ.

შეხვედრა წეროვანის №3 საჯარო სკოლაში გაიმართა. სტუმრებს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და სკოლის დირექტორმა ირმა ტატიშვილმა ერთად უმასპინძლეს.

შეხვედრის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლა, სამუშაო კლასები, ბიბლიოთეკა და სკოლის სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მიღებული ჯილდოები.

სტუმრებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა დასახლების შესახებ დამატებითი ინფორმაციაც მიაწოდა.

„ბოლო ზარი“ წეროვანის №3 საჯარო სკოლაში



19 მაისს „ბოლო ზარი“ დაირეკა წეროვანის №3 საჯარო სკოლაში.



დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სწავლის დასრულება პირადად მიულოცეს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა.

„დღეიდან თქვენთვის ახალი ეტაპი იწყება - ახალი პასუხისმგებლობებით, ურთიერთობებითა და მიზნებით. დარწმუნებული ვართ, ყველა თქვენგანი იპოვის საკუთარ ადგილს და გამოადგება ჩვენს სამშობლოს.“

წარმატებებს და თქვენი ყველა ოცნების ასრულებას გისურვებთ ახალი ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან გზაზე”. - აღნიშნა გელა შერმადინმა.



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhlagori@gmail.com

ბაბა-ბალებს გამოსაშვები ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარი გადასცა

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა წეროვანის, ნილკანისა და ფრეზეთის ბაბა-ბალები მოინახულა და ადგილზე არსებულ ვითარებას დეტალურად გაეცნო.

შეხვედრის ფარგლებში, გელა შერმადინმა, ბაბა-ბალების გაერთიანების უფროსთან ნუგზარ პაპუნაშვილთან ერთად, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებული საჭიროებები და პრიორიტეტული საკითხები განიხილა.

შეხვედრის ბოლოს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბაბა-ბალების თანამშრომლებს გამოსაშვები ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარი გადასცა და



მათ განხორციელებული საქმიანობისა და ბავშვებზე ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილება

პარლამენტმა 84 ხმით, დაჩქარებული წესით, მესამე მოსმენით მიიღო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილება. ინფორმაციას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

ცვლილების თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებულ შვილებს განსწავლავს 6 წელი 1-ელ ნოემბრამდე შეუსრულდება.

კანონპროექტის მიღებით, სასწავლო წლის დაწყების მომდევნო დღიდან 1-ელ ნოემბრამდე დაბადებულ პირებს უფლება ექნებათ გააკეთონ არჩევანი: გააგრძელონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვით, ან დარეგისტრირდნენ პირველკლასელებად.

აღნიშნული პერიოდი ნებაყოფლობითობის რეჟიმში რჩება და ბავშვის მშობელს და კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ცვლილებით 4900-მდე მოსწავლე შეძლებს სარგებლობას და ის როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებს შეეხება.

2023-2024 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია 2023 წლის 6 მარტიდან 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით განხორციელდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ სსსმ ბავშვებისთვის, ვისაც 6 წელი უსრულდებათ 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე. ცვლილების შემდეგ 1-ელ ნოემბრამდე დაბადებულ სსსმ ბავშვებს მიეცემათ დამატებით რეგისტრაციის საშუალება და პირველ კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობა ექნებათ.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 2 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა და სკოლაში დარეგისტრირდნენ ის ბავშვები, რომელთა:

- ა) და-ძმაც სწავლობს სასურველ სკოლაში;
- ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი სასურველი საჯარო სკოლის თანამშრომელია;
- გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.



მეორე ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო სკოლებში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

III ეტაპი

საყოველთაო რეგისტრაცია 17 მაისიდან დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე registration.emis.ge. რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

IV ეტაპი

რეგისტრაცია 28 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით სკოლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ან წინა ეტაპებზე გამოთავისუფლებულ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე.

მოქმედი კანონით, საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება. თუ 15 სექტემბერი დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა, სწავლა მის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს დაიწყება.

დიდი ხელოვანის გზა უკვდავებისაკენ

„კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო, ნათქვამი არა გვრცხვენოდეს“... – ბრძანებდა ვაჟაფშაველა და რაოდენ საამაყოა, რომ დღესაც, გლობალიზაციის საუკუნეში, ძალზე მნიშვნელოვანია ვაჟასეულ კარგ ყმაზე საუბარი, მით უმეტეს, როცა მისი შემოქმედება მხოლოდ ახალგორელთა კი არა, სრულიად საქართველოს სიამაყეა.



მხატვარსა და მწერალს ჭეშმარიტი მამულიშვილობა ქვეყნისა, მისი ერთგულება კიდევ უფრო საცნაურსა და აღმატებულს ხდის...

დიდ ნიკო ხერკელაძეზე უნდა გიამბოთ. ახალგორის რაიონის პატარა სოფელში, ხერკელაანში გაატარა ყრმობის ციკარი. აქაური სამოთხისეული ბუნების სილამაზე, ალალი, მუხლჩაუხრელი შრომის ადამიანების სიახლოვე და ქსნის ხეობის გმირული ისტორიული წარსული მის სულსა და შემოქმედებას მართლაც ცხოვლად დააჩინდა და საშვილიშვილოდ გადაეცა კი არა, ჩირაღდანივით აენტო არამარტო საქართველოში, არამედ გერმანიაში, იაპონიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, იტალიაში, რუსეთში... მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის, გერმანიის კარლ მარქს შტადტის და საფრანგეთის ლუვრის მუზეუმებში. აგრეთვე საქართველოსა და მსოფლიოს გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურულ მოღვაწეთა კოლექციებში.

ნიკო ხერკელაძე გახლავთ საქართველოს მხატვართა, საერთაშორისო სამხატვრო ფონდის, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აცადემია „ქალდეას“ ნამდვილი წევრი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის და ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი...

ახლახან ნიკო ხერკელაძე დაჯილდოვდა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიით ნიგნისთვის „ცრემლში ნალესი ხმალი“, რომელიც მიუძღვნა გიორგი სააკაძის გმირულ და ტრაგიკული სახეს ცხოვრებას.

გულწრფელი სიხარულით მივულოცე... ძალზე უბრალომ და თავმდაბალმა, მრავალმხრივი განათლების, ერუდიციისა და ინტელექტის მქონემ, ჩემთვის სიამაყის მომგვრელმა რესპონდენტმა სახლში მიმინვია...

მისვლისთანავე უდიდესი შემოქმედის და უბადლო მხატვრის, საოცრად თბილი, უშუალო მასპინძლის ერთი შეხედვით იდუმალ, მაგრამ საოცრად ლამაზ სამყაროში აღმოვჩნდი... თუმცა ბევრჯერ მენახა მისი ნიჭის მუხრწყინვალეობის კვალი ტილოზე დავანებული სხვადასხვა გამოფენაზე, აქ სულ სხვა იყო... ავტორთან ერთად მქონდა ბედნიერება გავცნობოდი, დამეთვალისწინებინა, აღმაფრენა განმეცა და დავმტკბარიყავი...


მასპინძელმა „ცრემლში ნალესი ხმალი“ გადმომცა და ჩვენი საუბარიც ამ ლიტერატურულ-ისტორიული ნაწარმოების შექმნის ისტორიით დაიწყო:

– ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, სახლში, კედელზე, ჩამოკიდებული იყო ორი ირანული ხმალი, ერთი იყო გატეხილი, მეორე მთელი, ალბათ შემდეგ მუზეუმში წაიღეს ეს ხმლები... პაპა მყავდა, პაპისძმა, გორა პა-

პას ვეძახდით, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი კაცი. ძალიან საინტერესო ამბებს მიყვებოდა. როგორც ჩანს, ბავშვობაში განცდილი, მერე გამოიღებს შედეგს, დროებით შეიძლება მიინავლოს, მაგრამ შემდგომში მაინც თავის გზას ნახავს. სტუდენტობისას კი, როცა სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, მთელი ჯგუფი ვიყავით კასპის რაიონის სოფელ ახალდაბაში. ეს სოფელი ძალიან ახლოს არის ნოსტესთან, გიორგი სააკაძის მშობლიურ სოფელთან, აქვე ორ კილომეტრშია ერთაწმინდა, სადაც პაატას თავია დასვენებული... სტუდენტები ავდიოდით, ვხატავდით ცხენებს, ცხოველებს. ცხენების ხატვა განსაკუთრებით მიყვარდა ყოველთვის. ახალდაბაში ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი პეტრე ხიზამბარელი. კარგი პიროვნება იყო, თითქმის ზეპირად იცოდა „დიდმოურავიანი“. საინტერესო ამბებს მიყვებოდა, თან მაფრთხილებდა: ჩაინერე, დაწერე, შვილო, რასაც გიამბობ, გამოგადგებაო... იქვე იდგა სააკაძის კოშკი... 22-23 წლის ბიჭი ვიყავი და ნაკლებად მაინტერესებდა ეს თემები და გიორგი სააკაძე. ხათრით ვინერდი, ხან ფურცელიც არ მქონდა და ნახატი ამოაბრუნე და დაწერეო, ისე მეტყოდა, უარს ვერ ვუთხნებოდი, თან ცხენი ჰყავდა, შეკაზმავდა და შემსვამდა ხოლმე. კი პიროვნება იყო, ხომ არიან ადამიანები, რომლებიც შენს ცხოვრებაში რაღაცას სცვლიან, შეგაყვარებენ შენს მიწა-წყალს, მართალია, ისედაც გიყვარს, მაგრამ ვიღაცა უფრო გაგიძაფრებს... ძალიან უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, მისთვის თავგანწირვა უნდა შეგეძლოს... 9 ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი ჩვენს ისტორიულ ქვეყანაში, ჩვენს წარსულში ცხოვრობდნენ, ისინი ქმნიდნენ ამინდს და მტერთან დიდ საბრძოლო შემართებას. ასეთი იყო გიორგი სააკაძე. ამ პეტრე ხიზამბარელმა ისეთი სიყვარული თუ ისეთი ამ საქმისადმი დაინტერესება ჩამინერგა, მერე, როცა ფეხი დამიზიანდა და ორი წელი გარეთ არ გავსულვარ, აღვადგინე პეტრეს ნაამბობი, ის ნახატები კი, ზოგი გაჩუქებული მქონდა, მეორე მხარეს ჩანანერებიანი, დავაბრუნებინე, ჩანანერები აღვადგინე (ფოტოები ისევ დავუბრუნე), მოვიძიე ლიტერატურა, ვისაც რამე ჰქონდა დაწერილი გიორგი სააკაძეზე, იმ რთულ ეპოქაზე და დავიწყე ამ ნიგნზე მუშაობა. თავიდან 400 გვერდი იყო, პირველი გამოცემა, ახლა 800 გვერდია... ნიგნზე მუშაობისას აღვიდგინე პეტრეს და პაპაჩემის ნაამბობი ქარჩოხის მოვლენების, „ქსნის ომის“ შესახებ. ამ ნიგნში აღვწერე, თუ რატომ გახდა საჭირო ანდუყაფარ ამილახვარის ოჯახის ჯერ ასეთ სიმორეზე, თერგის ხეობაში იზოლირება და მერე უკან დაბრუნება. განა ერთი ოჯახის გამოხსნისათვის საჭირო იყო ისახან ყორჩიბაშისაგან 12 ათასი ირანელი მეომრის გამოყოფა, რომელნიც უნებლად აივლიდნენ ზურაბ ერისთავის არაგვის ხეობას და ქსნის ხეობით დაბრუნდებოდნენ?.. მტრის მიზანი რაც იყო, ყველა ქსნისხეობელმა კარგად იცის. ორ კვირას სისხლისფრად დიოდაო ქსანი. რომ არა გიორგი სააკაძის სტრატეგიული გეგმა, მხედართმთავრული უნარი, რომლის მეშვეობით გამარჯვება გარდაუვალი ხდებოდა, 12 ათასი ყიზილბაში ამოწყდა... როცა ასეთი დიდი გამარჯვებაა, უარყოფითი ამბებიც მოჰყვება ხოლმე და მე მეუბნებოდნენ, შენო, მხატვარი ხარ და ხატეო... მაგრამ ეს ჩემი შინაგანი პოზიცია იყო, მოთხოვნა იყო, უნდა მეხატა ორ საათამდე და მერე უნდა მენერა...



ქეთევან დედოფალი



პაატა სააკაძე

– როდის დაიწყეთ ხატვა? როგორ გეწვიათ მუზა ქსნის პირზე გაზრდილ ბიჭს? პირველად რას ხატავდით? ვინ შეამჩნია თქვენი ნიჭი? მშობლები რა აზრის იყვნენ თქვენს ამ გატაცებაზე?

– როგორც ვითხარით, ცხენების ხატვა მიყვარდა, ცხენიც მიყვარდა... მამასაც და პაპასაც ჰყავდათ ცხენები, სტუმრად რომ ვინმე მოვიდოდა, მე მეტყოდნენ ხოლმე, წყალი დააღვინეო, მეც მეტი რა მინდოდა...

ხერკელაანში გავატარე ბავშვობა, ჩემი მშობლები მინათმოქმედნი იყვნენ, პატიოსანი, გამრჯე... თავიდან არ მიშლიდნენ, რომ ვხატავდი, მაგრამ როცა პროფესიად ავირჩიე, მათი თვალთახედვით მხატვრობას დიდი წარმატება არ შეიძლებოდა მოეტანა, არასერიოზულ საქმედ მიიჩნევდნენ. კორინთაში დავამთავრე რვანლიანი სკოლა და მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში გავაგრძელე სწავლა.

– გადანყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ...

– კი. ჩემი გადანყვეტილება იყო.

– თბილისში როგორი იყო თქვენი სტუდენტური წლები? ტექნიკუმში სწავლისას და შემდეგ სამხატვრო აკადემიაში, გეხმარებოდნენ მშობლები? ვინ შეამჩნია თქვენში პირველად გენიალურობა, მხატვრობის დიდი ტალანტი?

– სტუდენტებს მაინც გვიჭირდა, მშობლები შეძლებისდაგვარად მეხმარებოდნენ. ექვსი დედმამიშვილი ვიყავით... ზაფხულობით ვმუშაობდი, სამი თვე, არდადეგების დროს, სულ ვმუშაობდი. ერთ ამბავს მოგიყვებით: რუსთაველზე, ცისფერი გალერეა რომ არის, იქ ასფალტს ვაგებდით, მუშად ვმუშაობდი, მე შრომა ხერკელაანში ვისწავლე მშობლებისაგან, – ცხოველებსაც ვმწყემსავდი პატარაობიდან და მინის დამუშავებაშიც ვეხმარებდი მშობლებს... მამაჩემი მკაცრი კაცი იყო, სპარტანული აღზრდის მომხრე. ერთხელ, ბებოსთან ერთად, ქენქაძის ქალი იყო, ნახირში ვიყავი და საღამოთი რამდენიმე ძროხა არ დაბრუნდა სახლში. მოვიდა პატრონი ჩვენსა, ჩემი ძროხა არ დაბრუნდაო, მამაჩემს უთხრა. მამამ ჯოხი მომცა,

გამოიყვანა ძაღლი, დამიყენა გვერდით და უკვე კაი ღამე იყო, ნადი, მოძებნეო, მითხრა. გულში გავაპროტესტე, მეშინოდა ტყეში წასვლა, მაგრამ უარს როგორ შევებდავდი... 10-11 წლის ვიყავი... გავაგრძელოთ ასფალტის დაგების ამბავი... ვაგებთ ამ ასფალტს, თან მზე აჭერს და თვალი მოვკარი, სასტუმრო „თბილისის“ მხრიდან მოდის აპოლონ ქუთათელაძე, ჩვენი აკადემიის რექტორი. მაღალი კაცი იყო. სახეზე ხალათი ავიფარე, თითქოს არ მინდოდა, დავენახე... მომიახლოვდა, მე „კატოკს“ ჩავცქეროდი, ვითომ ვწმენდავდი... მხარზე ხელი დამადო... გავშრი, ენა ჩამივარდა... „პრარაბს“ ვეძახდით, სამუშაოთა მწარმოებელს დაუძახა, ამ ბიჭს ცოტა მეტი გამოუწერეთო... სამი თვის განმავლობაში სულ ვმუშაობდი, რომ არ მემუშავა, ვერ ვისწავლიდი...

– მშობლებმა იცოდნენ, ასეთ მძიმე სამუშაოს რომ ასრულებდით?

– თითქმის ვუმალავდი... აპოლონთან შეხვედრამ ჩაიარა, მაგრამ ოქტომბერში, სტიპენდიის ასაღებად რომ მივედი, – 40

მანეთი იყო, მეორე უწყისიც მაჩვენეს და ხელი მომანერინეს, კიდეც 40 მანეთი მომცეს. გამიკვირდა და ავედი გასარკვევად, რისი იყო ეს ფული... რექტორმა თავისი ხელფასიდან დაგინიშნა დამატებითი სტიპენდიაო, მითხრეს... ასეთი თაობა იყო, ასეთი ადამიანები რომ შეგხვდებიან ცხოვრებაში, ცუდად მოქცევის უფლება აღარა გაქვს.

კიდეც ერთ ამბავს გავიხსენებ: პაპაჩემის ძმას შვილი ომში დაეღუპა. ხერკელაანში რომ ავდიოდი, თოიძეში ვსწავლობდი მაშინ, მეტყოდა: რო ამაივლი, მნახე და როცა ჩამავივლი, მაშინაც მნახე, თორე მეწყინებო და თან ჯიბეში (ჩემი უარის და მოკრძალების მიუხედავად) ომში დაღუპული შვილის პენსიას ჩამიდებდა... ეგეთი ხალხის გვერდით რომ ხარ და იზრდები, მიუხედავად მძიმე ბავშვობისა, განონასწორებული ხარ, ვერ გადაუხვევ ჭეშმარიტ გზას, არ გაგამრუდებინებენ გზას... ბებო მყავდა ქენქაძის ქალი, ქენქანიდან. 104 წელი იცხოვრა. არაო, მღვდელმა დამაკლო, 110 წლისა ვარო, გვეტყოდა ხოლმე. ერთხელ მივდივართ მე და ბებო და მეზობლის სახლს რომ მივუახლოვდით, ვაშლის ხე იდგა ეზოს ძირში, შაფრანი... ქარს გადმოეყარა ღობის აქეთ გზაზე. მე პატარა ვიყავი. მინდოდა ამელო და ჩამეკბიჩა, მაგრამ ბებომ შემაჩერა, „ფართუკი“ აიკაპინა, დაიხარა და კალთაში დაიწყო ვაშლის მოგროვება... „აი, ეხლა მამცემს, აი ეხლა...“ – ველოდები და უცებ ეზოში გადაყარა, – ღორები შეუჭამდნენო მართასაო, – მართა ბებოსი იყო ის ხე, საბიაშვილის. პატარა ვარ და ვეუბნები ბებოს: აი, მართა ბებო რო ყოფილიყო, ხო მისცემდა თავის შვილიშვილებს ვაშლსა-მეთქი. არაო, მართა ბებო თვითონ მოგცემს და უფრო გემრიელად შესჭამო. ეს არის ჩემი ცხოვრების სასწორი...

– ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან რას ეტყვით ახალგორელებს?

– ახალგორელი კაცი ვარ, იქ დაბადებული... ახალგორელები ალალი ხალხია, მშრომელები. როგორებიც

დიდი ხელოვანის გზა უკვდავებისაკენ

მე-5 გვერდიდან

იყვნენ წინათ – მეზობლები, ერთმანეთის პატივისმცემლები, ასეთები მინდა რომ იყვნენ ისევ... ქსნის ხეობას სამი დიდი წმინდანი ჰყავს, ეს მაღალი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, სიამაყესთან ერთად.

– როდის ხატავთ? როდის ისვენებთ?

– ყოველთვის ვხატავ, სულ ვხატავ... როდის ვისვენებ? კარგი რომ გამოვა ნახატი, აღმაფრენაში ვარ და მერე ერთი კვირა ვისვენებ...

– და აღარ ხატავთ?

– კი ვხატავ, მაგრამ დასვენებული და აღმაფრენის განწყობით... ნახატი ჩემთვის ისეა, როგორც მშობლისთვის შვილი, ხშირად გასაყიდადაც არ მემეტება, მაგრამ სხვა გზა არ არის...

– თქვენს ოჯახზე მიაბებთ...

– ჩემი მეუღლე ჩემი თანაკურსელია, მოხევეა, სწოდან არის – ცისანა ფირანიშვილი. დიდია მისი როლი ჩემს წარმატებაში. ხშირად აღვნიშნავ სადღეგრძელოში (ილიმის), მაღლიერი ვარ... მან მთელი ცხოვრება ოჯახს, მე და შვილებს მოგვიძღვნა, ორივე შვილი – ელიზბარც და სოფოც მხატვრები არიან. ელიზბარს სამედიცინო განათლებაც აქვს. არაჩვეულებრივი რძალი მყავს თამარ ვარდიანიშვილი. ერთი შვილი ჰყავთ, ერეკლე. სოფო იტალიაში ცხოვრობს ქმარ-შვილით. სამხატვრო აკადემია დაამთავრა წარმატებით, პრეზიდენტის სტიპენდიაც ჰქონდა, დავით ციციშვილის სახელობისაც. მისი სტიპენდიები ჩემს ხელფასზე მეტი იყო... სიძე იტალიელია. ქალ-ვაჟი ჰყავთ: დიატრიცა-სალომე და მარკო.

– ადამიანში რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?

– მპატივბული, მიმტევებელი უნდა იყოს, ბოდიშის მოხდა უნდა შეეძლოს, ბოდიში ადამიანს ათავისუფლებს ნეგატიური ფიქრებისაგან.

– რა გახარებთ?

– გარეთ რომ გავდივარ და ადამიანები თბილად რომ ესალმებიან ერთმანეთს, კეთილი თვალები, ღიმილიანი ხალხი მახარებს.

– თქვენი წარმატების საიდუმლო, რა თქმა უნდა, გენიალურ ნიჭთან ერთად...

– მხატვრობას ბოლომდე თავგანწირვა სჭირდება,



ოჯახიც უნდა გინყობდეს ხელს, ცხოვრებისეული მოვლენებისას მტკიცედ უნდა იდგე...

– მისულხართ როდისმე გზასაყართან და გიფიქრიათ, რომ ფუნჯს დადებდით?

– არასოდეს!

– თქვენი ფუნჯი გირჩეუბათ ვინმესთვის?

– ჯერ არა...

– ხატვისას ვინმესთვის მიგბაძიათ?

– კი, ქობულაძისთვის.

– ყველაზე დიდი ქართველი მხატვარი...

– ფიროსმანი... წამებული გენიოსი იყო...

– უცხოელი?

– ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ბოტიჩელი...

– ბატონო ნიკო, რატომ ხდება, რომ გენიოსთა ცხოვრება ძალიან ხშირად ტრაგიზმით არის სავსე... და ეს ყველაფერი შემდგომ მათ გენიალურ შედეგებში აისახება, ბედნიერი ადამიანი ვერ ქმნის შედეგებს?

– კი, ასეა... განცდა, ემოცია, ტკივილი, ცხოვრებისეული პრობლემებისგან განაშენა გარკვეულ ძალას აძლევს შემოქმედს, ისე მათ შემოქმედებას ვიტამინები აკლია.

– როცა მცხუნვარე მზის ქვეშ „კატოკზე“ მუშაობდით, ალბათ დროს ეძებდით ხატვისთვის...

– მე ერთი დღეც არ მახსოვს, რომ არ მეხატა, სულ ვხატავ, ტყუილად არ ვკარგავ დროს... ან ვწერ...

– რა განსხვავებულ ნიშანს მეტყვით წერასა და ხატვას შორის?

– ნაწერი ემოციას გამოხატავს, ნახატი სიჩუმეს. ორივეს დაფიქრება, სიღრმე სჭირდება. ნაწერს მალე გადააკეთებ, ნახატის გადაკეთებას სამი დღე მაინც სჭირდება...

– ოჯახში ყველა ხატავთ, შვილების და შვილიშვილების ნახატების მკაცრი შემფასებელი ხართ?

– ყველაზე დიდი შემფასებელი თავად ავტორია, რადგანაც მან იცის, რა ძალა, დრო, ენერჯია დახარჯა.

– თქვენი შემოქმედება, თქვენი შექმნილი შედეგები მსოფლიომ გაიცნო და აღიარა, ბედნიერი ხართ?

– ბედნიერება ფიქრის შემდეგ მოდის.

– რა გადარდებთ?

– ჩემი ქვეყანა მადარდებს, ჩვენი ხალხის ორმხარეობა მადარდებს, დაპირისპირებულობა მადარ-



ქსნელი მეომარი

დებს, ვერ შევძელით ერთად დგომა, გამოსავლის ერთად მოძებნა. ქარი ცუდია, რთველი კარგი, – ამ ორი სიტყვისაგან წარმოდგება სიტყვა ქართველი, ანუ რთული ბუნება გვაქვს, ზოგი მოლალატეა, ზოგი თავდადებული... დღეს, განა რა არის, სამ მილიონ-ნახევარი ვართ, აღარც კი ვართ მაგდენი, რატომ გვიჭირს გაერთიანება რუსთაველის, გურამიშვილის ვაჟას შთამომავლებს?... ხშირად ვფიქრობ ჩვენს წინაპრებზე, ბევრმა მათგანმა მოთმინებით, ჭკუით, იარაღისა და ბრძოლის გარეშე მოუგო მტერს. გავიხსენოთ 1335 წელი – გიორგი ბრწყინვალემ ომის გარეშე გაიყვანა მტერი ჩვენი ქვეყნიდან.

– ნახევარ საუკუნეზე მეტია ხატავთ, წერთ, ქმნით შედეგებს... რომელ ეტაპი იყო თქვენთვის უფრო ნაყოფიერი...

– 2001 წლიდან აღმასვლის ეტაპი იყო... ნახატს ეტყობა ავტორის ასაკი... ცნობილია, რომ მიქელანჯელომ მოხუცებულობის ჟამს შექმნა თავისი შედეგები...

– თქვენს გვარს, თქვენს ცხოვრებას ბევრი საპატიო ტიტული ახლავს, რომლებზეც ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება. თქვენი აზრით, ვინ არის ნიკო ხერკელაძე?


– ერთი უბრალო ქართველი...

– ერთი უბრალო ქართველი? მაპატიეთ, ბატონო ნიკო, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით...

მკითხველისადმი და ბატონ ნიკოსადმი ჩემი აღმატებული პატივისცემა იდუმალი ვალდებულებით განმანწყობს...

ამ სტრიქონებს ძალზე მოკრძალებულად ვწერ, რადგან ალბათ არ დარჩენილა ყურნალისტი, ის-


ტორიკოსი, მხატვარი, ვისაც მასზე არ დაუნერია ძალზე ლამაზად, პროფესიულ დონეზე და არა მართო ქართველებს... ეს ჩანაწერები რამდენიმე საკმაოდ სქელტანიან ნიგნს მოიცავს... ფიქრისა და შთაბეჭდილების ტყვეობაში ვარ... მისი სული ქრისტიანული სათნოებითაა ნასაზრდოები. იგი, როგორც მხატვარი და შემოქმედი



ბიბლიიდან მოდის და კარგადაც აქვს გათავისებული ადამიანის სიყვარულის ძლევაშემოსილება. ეს ღვთაებრივი უნარი მხატვრის სულში დავანებული სიკეთისა და უანგარობის უიშვიათესი გამოვლინებაა.”

ახალგორელებო! პატივცემულო მკითხველო! ჩვენს შორის, ჩვენთან ახლოს დადის ღმერთკაცი, ნიკო ხერკელაძე, რომლის სულში, როგორც თვალწარმტაც ოქროს კოშკში საოცრებები დაეხეტებიან, მეჩვენება, რომ ხელებით ზეცას ეხება... ეს საოცარი განცდაა, მაგრამ ხელოვანისათვის წამების გზით უკვადავებისაკენ სვლაც...

**ქართულ-ჰოლანდიური კლინიკის
საქველმოქმედო აქცია წეროვანში**



საქართველოს ვეტერანთა და ინვალიდთა ორგანიზაციის ინიციატივით და ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ქართულ-ჰოლანდიური კლინიკის პროფესიონალი ექიმების მიერ, წეროვანის დევნილთა დასახლებაში უფასო გამოკვლევები ჩატარდა.

პაციენტთა გამოსაკვლევად კლინიკამ მოაწვინა კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ანგიოლოგი, ზოგადი ქირურგი, ტრავმატოლოგი, ოფთალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, თერაპევტი. მოსახლეობას შეეძლო გაეკეთებინა ექოსკოპია (ე.კ.გ. დოპლერი) და მუცლის ღრუს გამოკვლევა.

აქციით ისარგებლა და სრული გამოკვლევები ჩაიტარა ასზე მეტმა ადამიანმა.

ახალგორის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის აქციის ორგანიზატორებს და კლინიკის ექიმებს განუული დახმარებისთვის.

**ერთნოვან სასოფლო-სამეურნეო
კულტურაში თვითუზრუნველყოფის
აინჟინერის ზრდის უზრუნველსაყოფად
შეღავათიანი აპროგრამის პირობების
ფარგლებში ქვეკომპონენტი ამოქმედდა**

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებაში ცვლილება შევიდა, კერძოდ, მთავრობის 1 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში ქვეკომპონენტი ამოქმედდა, რომლითაც ერთნოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნობრივობით გაცემული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს.

ქვეკომპონენტის ამოქმედება ხელს შეუწყობს ერთნოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდას.

სოფლის განვითარების სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არაუმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არაუმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას.


ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრა 10,000 ლარიდან 100, 000 ლარის ჩათვლით.

„ქსნისეობელეზს ბჟჳრი ბჟჳჳს საამაჳო...“

ქარჩოხის მთჳს



ცნობილი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი ვიტალი ქენქაძე წლების მანძილზე ენო-და პედაგოგიურ მოღვაწეობას ახალგორის რაიონში, მუშაობდა აგრეთვე ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში. გამოცემული აქვს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი, ასევე ლექსების კრებული „ქსანი მეძახის“. მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ნაშრომი, რომელსაც მან 5 წელი მოანდომა და 2016 წელს გამოსცა თბილისის მედიის ხელშეწყობით, გახლავთ „ქსნის ერისთავები“ – წიგნი-ისტორია, წიგნი-საგანძური არა მარტო ახალგორელებისათვის, არამედ სრულიად საქართველოს წიგნიერი საზოგადოებისათვის.



ვიტალი ქენქაძე ჭეშმარიტი გულშემატკივარი და ქომაგია ქსნის ხეობისა და ახალგორისა. თავის ერთ-ერთ პოსტში ფეისბუქზე ის წერს:

„გაგკადნიერდები და ვიტყვი: ჩვენ – ქსნისეობელებს, საამაჳო მართლაც გვაქვს, რომ 1320 წელს იერუსალიმიდან ქრისტეს საფლავის გასაღები საქართველოში ჩამოიტანა საძეგურს ზემოთ – ქვენიფნევეში დაბადებულმა და გაზრდილმა, ლარგვისის მონასტერში განსწავლულმა პიპა ქვენიფნეველმა. განა ცოტაა ეს?!“

დღეს თავდახრილები რომ დავდივართ ახალგორელები, განა ჩვენი თავმონონებისთვის საკმარისი არ არის ის ფაქტი, რომ საუკუნეების მანძილზე ლარგვისში იწერებოდა მრავალი წიგნი, თავაულებლად მუშაობდნენ კალიგრაფისტები, მხატვრები, ოქრომჭედლები, ეტრატის შემქმნელები, ამკინძველები და სხვა პროფესიის მცოდნენი... განა თავმოსაწონად არ არის საკმარი, პიპას სახლიდან 3 კილომეტრში აღმოჩენილი მსოფლიო დონის შედევერი – ცნობილი „ახალგორის განძი“.

განა არაფრის მთქმელია ალვის წმ. სამება? ქსნელი კაცის გარდა არ მეგულება ძეხორციელი, ვინც დროშასავით არ ააფრიალებდა ამ მონასტერში სხვადასხვა დროს ოქროს ორი კარის არსებობას... და მხოლოდ ვიცით და ვამბობთ, რომ მონასტრის ოქროსკარიანობა მხოლოდ ლეგენდ-აა და მეტი არაფერი...“

ჩვენი ნამეტანი თავდახრილობა და თავმდაბლობა ჩვენ გვაგნებს და ჩვენ ქვეყანას!..“

ვიტალი ქენქაძე სამეცნიერო მუშაობის გარდა პოეზიის მუზასთანაც თანაზიარობს. „ახალგორის“ ამ ნომერში მისი ახალი ლექსები იბეჭდება.

მთებო, შემკულნო ლამაზად, ნაქარგნო ჩუქურთმითაო, ყვავილთა ამყვავებელნო, მეტყველნო ტკბილის ხმითაო. შავად დამფინეთ გულ-მკერდზე ქუში, ხამხამა, ჩხამაო, ისე მიტირეთ, რომ მტერიც დასწვას იმ თქვენმა ხმამაო. მიტირეთ, გულზე დამკიდეთ ყუნწულა მნიფე წოროსი, ყელზე დამკიდეთ გალია თქვენი მთის მწვანე ლოლოსი. დამკიდეთ ცისკრის ვარსკვლავად თქვენი ყინულის ლოდები, დამასვით ციციანთელა, გამომისყიდეთ ცოდვები. მაჩქეფეთ წინწკლა კალმახი, ქსნისა და არა სხვა რჯული, ძირს დამიფინეთ ხავსები, ხასხასა, მწვანე სარჩული. მაფრქვიეთ „ვარსკვლავთ მრავალა“, მკერდი მინამეთ ცვრებითა, მასიზმრეთ, მთაზე ვტკბებოდე სალამურით და ცხვრებითა. გარს მეხვეოდნენ შვილებად ბატკნები ღუმის რხევითა, მათრობდეს სუნი ყვავილთა ამოფრქვეული ხევითა. არ დაგავინყდეთ, ბეჩავნო, სიპნი, ნაშატის ქვიშები, თან ჩამატანეთ, მადლია ნაკადულები გიყუები. თან ჩამატანეთ ყვავილნი, სიები „ჩხიკვთა ქორწილის“, ბუმბული მაინც შემწირეთ, არ მინდა კლანჭნი არწივის. გვირგვინად თავზე დამადგით მწვანე დეკისა ტოტები, ზედ დამაკალით ხარ-ჯიხვი, არჩვის ამაყი ბოტები. ჩემზე ნუხილის ცრემლებად ჩამოაგორეთ ზვავები, ერთს კი გთხოვთ, ფოთოლ-ბალახი არ გაიხუნოთ შავებით. მთანო ამაყნო, ლამაზნო, ნაქარგნო ჩუქურთმითაო, ყვავილთა ამყვავებელნო, მეტყველნო ტკბილის ხმითაო. იტირეთ ჩემი ცხედარი, ჩამონწილის თმითაო, იტირეთ თქვენი მღერალი, იტირეთ დიდი ხმითაო. გეკუთვნით ჩემზე ვალალი, როგორც არავის სხვასაო, მეც ხომ გიმღერდით ალაღად, ვიცმევდი თქვენზე შავსაო. ველარ მიხილავთ, რომ წავალ, წავალ მე დიდი ხნითაო, წავალ მე ნაზიარები

მწარე წუთი

ქარჩოხზე გაზაფხული იდგა. ირგვლივ ყველაფერი ყვავდა და ხარობდა. მდინარე ქსანი ჩვეული რიხით მოაცილებდა სოფელ დოჩიანთიდან შუა ალევისაკენ ცხენოსანთა მაყრიონს. შუაში ჩამდგარი ნეფე-პატარძალი მზესავით ანათებდა.

მაგდანა პავლიაშვილი – მოხდენილი, თეთრი ყორმიზი სახის, ცისფერი თვალებითა და ორი გრძელი ნაწნავით.

კოლია მწითურიძე – მალალი, ტანადი, მხარბეჭიანი, კარგი საჯიშე ვაჟკაცი.

წყვილმა მშვენიერი ბუდე გაიკეთა სოფელში. მაგდანამ მეუღლეს სამი ვაჟკაცი შესძინა. ცხოვრობდნენ და ხარობდნენ ბედნიერად, რომ არა ეს წყეული „დიდი სამამულო ომი“...

კოლიამ გულში ჩაიკრა აცრემლებული ცოლ-შვილი. წყნარად გაალო და უკანასკნელად სახლის კარი...

დიდხანს ელოდა მაგდანა მეუღლეს, ბოლოს ცნობა მოუვიდა ოჯახს ქერჩის მისადგომებთან მისი გმირულად დაღუპვის შესახებ...

უჭირდა ქვეყანას, გაუჭირდა მაგდანასაც. კლდე იქცა სიფრიფანა ქალი... მეტი გზა არ ჰქონდა – მამისეულ სახლს მიაკითხა. სოფელ დოჩიანთთან ანდრია წმინდულთან მიახლოებისას (ასე ეძახდნენ ადრე ამ ადგილს) მალალი ხმით დაუძახნია:

– ჩამომეშველეთ, სამი შვილით მოვდივარო.

მშობლები გიგო და ნინა ეხმარებოდნენ ქვრივ შვილს, მაგრამ მის ძმასაც რაჟედნას შვიდი მშვიერი შვილი ჰყავდა კერაზე. არც მათ უღხინდათ, გაჭირვებით გაჰქონდათ თავი.

კოლმეურნეობებმა მონამლული სათესლე ხორბლის გარჩევა დაიწყეს. იჯდა მაგდანაც და არჩევდა ხორბალს. ცოტა ითხოვა, დავთესავო. სინამდვილეში კარგად გარეცხა, გააშრო და ხელსაფქვაზე ჩამოფქვა. რა უნდა ექნა? – ბავშვებს ერთი კვირის განმავლობაში პური არ ეჭამათ. დაფქულით პური გამოაცხო. საოცარი პურის სურნელი დატრიალდა სახლში. ყველა მაგიდას მიუსხდა. მაგდანამ თვალი გადაავლო კონკებში გახვეულ მშვიერ-მწყურვალ შვილებს და გული შეეკუმმა.



mTiul i qal ebi xorbl is gacxril vase. qsnis xeobis cifrul i fotomatiane. saqarTvel os parlamentis erovnul i bibli oTekis arqivi

– დამაცადეთ, შვილებო! ჯერ მე შევჭამ და თუ არაფერი დამემართა, მერე თქვენ... მაგდანამ პურს ყუა მოატეხა და პირში ჩაიდო, ერთი ლუკმის შემდეგ ძირს დავარდა და სული განუტევა.

– დედა, დედაა!.. – სამი მშვიერი შვილი დაემხო დედას.

– გაახილე თვალი, დედა, სუნთქავ? – თვალს ხელით უხელდა პატარა.

– დედა მონამლულმა ხორბალმა მოკლა! – ღრიალს ამოაყოლა უფროსმა.

ობლებს ძონძები დახადეს და გააშვილეს, კოლია – ჩოხატაურში, გურამი – მახარაძეში, თემური კი მუხრანში...

უკვე დავაჟკაცებული ძმები დიდხანს ეძებდნენ ერთმანეთს. დღესაც პურის შემხედვარეს ის მწარე წუთი ახსენდებათ, რომელმაც ობლებს დედა წაართვა, ხოლო 9 მაისი მამის წართმევის დღედ ახსოვთ.

მას შემდეგ ყოველ წელს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებას ვზეიმობთ, იმ ძმებს და მილიონობით ქართველ ოჯახს კი არა ეზეიმებათ რა!

ლელა ზარიძე
2023 წლის მაისი.

შვებით და სულის ხსნითაო. მწარედ დამტირებს, ვიცი მე, ურცი, მოცი და ჩხამაო, ჩემზე დარდითა მზვარეში შვლის ნუკრმა მინა ჭამაო. ლიჭა ბაჭიამ დარდისგან, ყურები დაბლა ჰყარაო, დრუნჩა-დუნდულამ განგებას ქოქოლა დააყარაო. არ დაგავინყდეთ, ლამაზნო, რაც დავიბარე ანდერძი, ამით იემარეთ, არ გინდათ სუდარისათვის სხვა თერძი. თან წაყოლილი წყლულების წამლად მომეცით ძახველი, კარგად შემიმკეთ საფლავი, არ დამიღონოთ მნახველი. არ დაინანოთ, მაფრქვეით

სანესო ჩემი საკმელი, ამით სამოთხეს მექნება თქვენსკე სამზერი სარკმელი.

თეთრად ნათობს კორინთის კლდე, გეზვერეთი, ნახილია, ქსნის ხეობა ჩემი არის, ფულზე არ მაქვს ნაყილია. არასა ვცვლი, არას ვყიდი, მამულის მაქვს კრძალვა-რიდი, გენაცვალე, ქსნის ხეობავ, მე ვარ შენი მესამრიდი. ქსანი მორბის მალხაზივით, კენჭით თორმეტფეროვანი, „ახალგორის განძს“ ვარდული შვენის ოქროსლეროვანი.

საძეგურთან მომანოდა პიტიახშის ქალმა ყანწი, ვის სამკობლად შემოქმედდა ახალგორის ოქროს განძი. ოქროს ცხენებს გავაჭენებ, ამორძალი ქალის ყურთან, ბროლის ყელზე მძივს დავკიდებ, კერპებს დავუსვენებ გულთან. ცხადია თუ მეჩვენება, კოჭლა-ბუხა ჯოხით ხელში, თავზე შლიაპა ახურავს, ბოღმა გასჩხერია ყელში. მივედი და დავუჩოქე, ცრემლით დავუსველე ტერფი, მომეფერა, რატომ გიკვირს, გურული რომ ქსნელებს ვეტრფი.

ზიტალი ქინძაძე

სამოყვარულო საფეხბურთო ბუნდი „ახალგორის ჯვაროსნები“



2019 წლიდან წეროვნის დევნილთა დასახლებაში სამი მეგობრის – ლაშა რევაზიშვილის, ზურა ოქრუაშვილის და მირიან მაისურაძის იდეით და ორგანიზებით დარეგისტრირდა სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი „ჯვაროსნები“. გუნდმა თამაში დაიწყო სამოყვარულო საფეხბურთო ლიგაში, რომელიც მოიცავდა მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის გაერთიანებულ ლიგას. გასული წლიდან გუნდი „თბილისი ლიგა-2“-ში ასპარეზობს და უფრო შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ, რომლებზეც ლაშა რევაზიშვილმა გვიამბო:

არის. ჩვენი სურვილია, ახალგორის კიდევ უფრო მეტად წარმოჩენა სპორტის ამ ლამაზი და საინტერესო სახეობით.

წლებანდელი მაისი უფრო წარმატებული აღმოჩნდა. ჩავატარეთ 3 ოფიციალური შეხვედრა, სადაც ორი თამაში გამარჯვებით დავასრულეთ, ერთ შეხვედრაში კი ფრედ ვითამაშეთ – 3:3. ეს თამაში ვაკის ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე ჩატარდა. შევხვდით გუნდს „იუნაიტედ უნივერსი“. სამივე გოლის გატანაში თავი გა-

– ახალგორი ჩემი დედუღეთია და ძალიან მიყვარს, აქედან გამომდინარე, დამებადა ეს იდეა ჩემს მეგობრებთან ერთად. რადგანაც ახალგორის გერბზე გამოსახულია ჯვარი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჯვაროსნები ყოველთვის მებრძოლი ხალხია და გამარჯვებასთან ასოცირდება ეს სახელი, იგივე იდენტობა შევინარჩუნეთ, – მაისურებზე გადმოვიტანეთ და გუნდსაც „ჯვაროსნები“ დავარქვი...

– გამართლა?

– 2021 წელს გავხდით სამოყვარულო ლიგის გამარჯვებული გუნდი და მოვიპოვეთ ტიტული. 2022 წლიდან ასპარეზობა გავაგრძელებთ „თბილისი ლიგა-2“-ში, რაც უფრო მეტ და ფართო მასშტაბებს მოიცავს და უფრო ცნობადიც



ჩვენა ფეხბურთელა გოგონება ნარმატებას მიაღწივს

მოსწავლეთა და მოზარდთა ჯანსაღი განვითარების ერთ-ერთი უპირველესი და მნიშვნელოვანი ფაქტორი სპორტული აღზრდა, ფიზიკური ვარჯიში და მათში სპორტული გატაცებისა და მიდრეკილების აღმოჩენაა. რასაც შემდეგ თან ახლავს წარმატებები, სიხარული, საზოგადოებისათვის ცნობადობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საფეხბურთო კლუბი „ახალგორი“ წელს შეიქმნა, უკვე გვაქვს წარმატებები. ჩვენი გოგონები – მარიამ გვრიტიშვილი, მარიამ ლუნაშვილი, ნინო და ანა ოსიპოვები, ბარბარე ბიტიაშვილი, ხატია ლომოური /გუნდის კაპიტანი/, ლიზი ლომოური, მარიამ მაკარაშვილი, მარიამ მერებაშვილი, ელენე ოხანაშვილი, ანი მასპინძელაშვილი, მარიამ ახსაბაძე, სესილი გაბრელიანი, ანი დოლიშვილი, ქეთი ჩიტაური, ნენე ქურთაული, ნატალი ორაძე, ნატალი ქაშიაშვილი, ნანი თეთრაძე ძალიან მონდომებით, ხალისით ვარჯიშობენ. ვარჯიში და მცდელობა, მონდომება კი ყოველთვის წარმატების საწინდარია. გუნდის მწვრთნელია ირაკლი ბალაშვილი, რომელიც ორგანიზე-



ბულად, სიტემატურად წარმართავს გუნდის თითოეული წევრის მომზადებას.

მაისის თვეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი „ქალთა ლიგა – 2“, სადაც 7 თამაში გვქონდა. ორი მოვიგეთ, სამი ფრედ დავამთავრეთ. სამწუხაროდ, ორი წავაგეთ, მაგრამ საერთო ჯამში

მანც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეთ. პირველივე ტურში ჩვენი ფეხბურთელი ანი დოლიშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. წინ დიდი ნათელი გზა აქვს ჩვენს ფეხბურთელ გოგონებს, რის იმედსაც მათი მონდომება და ფეხბურთის დიდი სიყვარული მძლევს.

გია მიდელაშვილი

მოიჩინა თორნიკე დიმიტრიშვილმა, ხოლო ვარკეთილის საფეხბურთო ცენტრში შევხდით გუნდს „ბუნელა“, მოვიგეთ 4:1 და ავიღეთ მნიშვნელოვანი სამი ქულა. ამ თამაშში თავი გამოიჩინეს ნიკა ქურციკაშვილმა, ბერო ბაშარულმა, თორნიკე დიმიტრიშვილმა.

დაძაბული აღმოჩნდა ნუცუბიძის საფეხბურთო ცენტრში ჩვენი თამაში, სადაც მინიმალური ანგარიშით 1:0 მოვიგეთ, თემო თანიაშვილმა გაიტანა ეს გოლი.

ჩვენი მიზანია მოვიგოთ თბილისის ლიგა-2 და დავინაურდეთ უმაღლეს ლიგაში, სადაც ჩვენი მიზანი იქნება გავხდეთ საქართველოს ჩემპიონები და ვიბრძოლოთ უმაღლესი მიზნებისთვის, რათა გავიტანოთ ჩვენი კუთხის ახალგორის და საქართველოს სახელი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ევროპის ჩემპიონატზე გუნდებს შორის.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არ გვყავს სპონსორი. გუნ-

დის წევრების და ჩვენი სახსრებით გვინევს სხვადასხვა ფინანსური საკითხის მოგვარება. გაგვიხარდება, თუ ვინმე დაინტერესდება ჩვენი საქმიანობით და სპონსორობას გაგვინევს.

- გაგვაცანით თქვენი გუნდის შემადგენლობა.

- სიამოვნებით. მეკარეები: ლომაია გიორგი, ბულისკერია გიორგი. მცველები: ნიკა ქურციკაშვილი, ლაშა კარელიძე, ლაშა მნათობიშვილი, გურამ ნაუაშვილი, ირაკლი ქაფიანიძე, მახარე ნაჭყეპია, ავთო ფიცხელაური. ნახევარმცველები: ირაკლი ბალაშვილი, მირიან მაისურაძე, თემურ თანიაშვილი, დათო ბერიანიძე, გიორგი გავაშელიშვილი, ირაკლი ნადირაძე. თავდამსხმელები: ლაშა რევაზიშვილი, ზურა ოქრუაშვილი, ილია როშნიაშვილი, ბერო ბაშარული, თორნიკე დიმიტრიშვილი.

- წარმატებას და დასახული მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა სამძიმარს უცხადებს დალი კორაევის მამიდაშვილის **რამაზ თოგოვის** გარდაცვალების გამო.

იკოთის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები სამძიმარს უცხადებენ პედაგოგ ზაირა ელკანოვას ძმისშვილის **ბესო ელკანოვის** გარდაცვალების გამო.



„ხელოვნება თვალ უკვლავება...“

მხატვარი ნიკო ხერკელაძე

